



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 617/ს



17/05/2021

617-11-4-202105171443

**სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (სოჭის და ნაძვის ჯიშის I; II; III და IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) –სულ 41.47 - მ<sup>3</sup> ) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N241) გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ტყის კოდექსის 95-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46<sup>1</sup>-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 15 თებერვლის N000923421 დასკვნის, „სსიპ-ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ელექტრონული აუქციონის გზით I, II, III, IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყის (მორის) რეალიზაციისას ბიჯის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2018 წლის 5 სექტემბრის N883/ს ბრძანების, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2021 წლის 13 მაისის N5480 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N241 სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ მესტიის სატყეო უბნის, ჯორჯვალის სატყეოს N25 კვარტალში, (ლიტერი 2) სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 41.47 მ<sup>3</sup> წიწვოვანი სახეობების (სოჭის და ნაძვის ჯიშის I; II; III და IV ხარისხი) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს ფინანსურ დეპარტამენტს „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება.

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმისა და განვითარების სამსახურს სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი